## ალაზნის ნაპირიდგან

(„დროების“ კორესპონდენცია)

დილის შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც აგვისტოს 29 მე სამშობლოს გამოვცდი და ალაზანს გამოღმა იქვე მდინარის პირზე. მუღანის ფოშტაში მაღლობზე გაშენებული ვიდექი და დავცქეროდი ძველებურს საქართველოს ელისენს, რომელმაც, თავის დაუდგრომელი ხასიათისა გამო, თავის თავს შეჰძინა რამდენიმე სახელი და მისთვის მას უწოდებენ: ელისენი, გაღმა მხარი, ბურჯისტანი, ჭარი და ზაქათალის მაზრა. ეს სახელები მე მარწმუნებენ, რომ მას მრავალი მწუხარება გამოუვლია, მრავალი ბოლმა და ბოროტება დაუთმენია და შთაუთვისია კაცს ამ ქვეყნის ზურგზე; მრავალი დედა და მამა, ცოლი და ქმარი მწარეთ აუტირებია მის ზურგზე მტერს; მრავალი ხმალი და ხანჯალი გაუქნევია აქ კაცს და კიდევ კაცის მოსისხლე გამხდარა; მრავალჯერ ვაჟკაცურად მოუგერებია ზედ მიდგომილი გაზვიადებული მტერი და საშიშარი გახდარა თავის ამ ყი სიმამაცით თვით საქართველოსთვისაც; მაგრამ მძვინვარე შაჰ-აბაზმა მას დროებით ბოლო მოუღო. თავის ცბიერებით დაჰკოდა ის წელში, დაუნგრია ტაძარი სარწმუნოებისა, გაუტყვნა ვაჟკაცური სინიდისი, და მითაც რომ არ დაკმაყოფილდა, 80 და 100 ათასი სული ძალ-შლით მას და გადაასახლა სპარსეთში, სადაც ახლაც თურმე მრავალი მათგანი იგონებენ თავის სამშობლოს, და, როგორც მიამბეს იქ ჰყის თესლების მსყიდველ სოიხებმა, ახლაც ქართულს ლაპარაკობენ და ქართული წიგნებიცა აქვთ, რომლებიც დაბრუნებას ისევ თავის სამშობლოსათვის, ისინი თურმე ცდილობდნენ მათ ხელით, მაგრამ მათ, ჩვენდა სამწუხაროდ, დაუდევრობისა გამო, ვერ წამოუღიათ, და ამისა გამო მე, ამ ქვეყნის შვილმა, ვსთხოვე მათ, რომ თუ ოდესმე კიდევ იქნებიან იქ იმათთან, ეს წიგნები წამოუღონ საინგილოს, როგორც მისი საკუთრება. აი თითქოს ამდენმა ღვარძმა ეს ჩემი სამშობლო შემოსა ეკლითა და კუროსთავითა, თითქოსდე იმისთვისაო, რომ ღმერთმა ადამს აღთქმა მისცა, რომ ბოროტებისა გამო ხმელეთი შეიმოსება ამ გვარი მცენარითაო. ამ გვარმა ავმა ფიქრებმა მე აღმიგზნეს გულის შფოთვა, მწუხარებით დავყურებდი ალაზანს და ვამბობდი:

. . . . . . . . . . . . .

ჩვენ ძველ ცხოვრების მოწამე შენ ხარ!
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა განშვენებული;
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენი თვალის წინ აღყვავებულა.

. . . . . . . . . . . . .

იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე იდუღდა,
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ქუხდა
შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ იგი ქართველნი! . . . . . . . . . *)

აქ ალაგიდგან, საიდამაც მე ვუყურებდი გაღმა მხარს, საინგილო მშვენივრათ მოჩანდა თავის მშვენიერი ტყეებითა და შიგ და შიგ აქა-იქ ამწვანებული ველებითა. მართლაც რომ გასაკვირველათ არის ზაქათალის მაზრა შემოსილი მაღალი ტყითა: მათში იზდება მუხა, თელა, ნაკვერჩხალი, ცხილა, ვერხვი და სხვ. ამ მაღალ ტყეებში ძალიან ბევრი კრიკინა ყურძენი იცის და თითქმის ისეთი მსხვილი, როგორიც ვენახის ყურძენია; აგრეთვე მრავალია პანტა და ვაშლი. კაკბები, ხოხბები, გარეული ღორები, ირმები, შველი, ყურდღელი და სხვანი. ამავებით ყველათი ინგილოები სარგებლობენ. ძალიან სასიამოვნო არის იმათი მონადირეობა ამ ფრინველებზე და ნადირებზე. და მე ამას მკითხველებს ოდესმე აუწერ და, იმედი მაქვს, ისინი უსიამოვნოთ არ დაიჩემებენ ჩემზე ამისათვის. მაგრამ ეს ტყეები უფრო შესანიშნავნი იმით არიან, რომ ამათში მრავალი ადგილას ნასოფლარი ადგილებია, რომლიც უფრო კარგათ ეტყობა ნანგრეველით, სასაფლაოებით და მარნებით, რომელსაც ცხადათ ეტყობა ქვევრები. აგრეთვე არიან მშვენიერი ეკლესიებიცა. ყველა ეს ამტკიცებს, რომ ერთ დროს ეს ქვეყანა ყოფილა აღყვავებული და ჰქონია კმაყოფილი ცხოვრება. მაგრამ გულ-ღვიძლში სისხლ ჩაქცეულს მოღმისა გამო მტრებს, მონგოლებს, სპარსელებს, ოსმალებს და ლეკებს, მოუსპიათ აქ მათი ცხოვრება და დაუშლიათ. ქართველთა დიდებული ცხოვრება ამასვე ამტკიცებს ბ-ნ. პლატონ იოსელიანი, რომელიც ამბობს, რომ ზაქათალის მაზრაში კონსტანტინე მეფის, მამა-ძმის მკვლელის, ჟამს ორმოცი სოფელში სცხოვრებდნენ ქართველები.

სამ საათზე, შუა დღის უკან, მე აქიდამ მოვედი იექურიშაში. აქ მე შევედი სანახავად ერთ ჩემ ნაცნობთან, სადაც დამხვდნენ ქართველი აფიცრები, რომელთაც, როგორც თვითონვე მიამბეს, ძალიან ნაკლებათ იციან ქართული ენა, ასე რომ ჰკითხულობენ ქართულ წიგნს და თითქმის სრულებით კი არ ესმით. ამ გვარი თავისი მდგომარეობა მათ არც სწყინდათ, არც უხაროდათ. ეს სჩანდა იქიდამ, რომ ამ დროს ამათთან ბარათი შემოიტანეს ქართულს ენაზე და ერთმა იმათგანმა ვერ წაიკითხა, რისა გამო ის გამოართვა ინსტიტუტში გაზდილმა ქალმა და წაუკითხა ბარათი. კაცი იფიქრებს, რომ ამ გარემოებას ისინი უნდა შეეწუხებინა, მაგრამ იმათ არაფერი არ ეტყობოდათ. ამ გარემოებისა გამო ჩვენ კარგს ხანს ვილაპარაკეთ და ვიბაასეთ სამშობლო ენის მნიშვნელობაზე და მერე მე ისევ გამოვემგზავრე. სიღნაღის ფოშტაში მოვედი ღამის ცხრა საათზე და მაშინვე ისევ გამოვემგზავრე ქალაქისკენ და ღამის თორმეტ საათზე მოვედი ფოშტაში, მალხაზიშვილის ანდრონიკოვის წისქვილების მახლობლივ. ეს სტანცია და კიდევ ამისი ქვევითი უჭირავს ზაქარია ანდრონიკოვს, რომელსაც ეკუთვნის აქ მყოფი წისქვილებიცა. ალაგს, საცა ეს წისქვილები არიან, ქვიან დამპალა. თვით წისქვილები იმყოფებიან ექვს სახლში და სულ თვალი იქნება ოცდა ხუთამდე. მათი გაკეთება იქნება, როგორც მითხრეს, ოცდა ხუთი წლის წინადი. იგი გაუკეთებია ანდრონიკოვს, ერთი გლეხი კაცის იმერლის შთაგონებით, რომელსაც სახელათ რქმევია ლაზარე. საკვირველი ნიჭიერი კაცი იყო თურმე ეს ლაზარე: ერთხელ თურმე ზაქარია ანდრონიკოვს, იმას ვისაც ეს ეკუთვნის, გაჰყვა სანადიროთ და ნადირობის დროს იორის მდინარის პირები დაათვალიერა და მოისაზრა, რომ წყალი გაიყვანება იორიდგან იმ ადგილას, საცა ეხლა წისქვილებია. შინ რომ დაბრუნებულან ნადირობიდგან, მას უთქვამს ანდრონიკოვისთვის: „ნადირობა ხომ ძალიან კარგია ბატონო, და ვინადიროთ კიდეც, მაგრამ მე ნადირობის დროს ერთი საუცხოვო მოვისაზრე და გაკეთდება კიდეცა, უკეთუ ისურვებთ.“ იმას შთაუგონებია, რომ აქ შეიძლება იორის მდინარიდგან წყალი გამოვიდესო და აქ გაკეთდება ისეთი წისქვილები, რომ მათგან მოცემული ხეირი თქვენ გეყოფათ საცხოვრებლად. ეს აზრი ბატონსაც მოსწონებია და დაუწყვიათ

*) ნახე „ჩონგური“.

უწყლოა ადგილს იორიდგან წყლის გაყვანა რუვით, იმ ადგილს, სადაც ეხლა წისქვილებია. ის მიუცია იჯარით ერთ კრომაისათვის, მაგრამ იმას ვერ დაუსრულებია, და ამის გამო ჩვენ გლეხ-კაცებს სამ წელიწადს დაუსრულებიათ მისი გათხრა და წყლის გაყვანა. დღეში თურმე სამი ძროხა არა ჰყოფნიდათ რუვზე მუშავე გლეხებს, იმდენი იყვნენ. ეს რუ სიგძით ხუთივერსტიანია და სიგანით ერთი და ნახევარი საჟენი. ამ რუვს რომ უყურებთ, სულ არა გჯერათ, თუ აქ წყალი იმდინარებს იორიდგან ისეთ ადგილას არის გამოტანილი. ბარაქ ლა იმ ლაზარე იმერელს ამ ჭკუისა და მოხერხებისათვის!

წისქვილებიდამ ანდრონიკოვს ძალიან კარგი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, ამისათვის რომ თითქმის მთელს სიღნაღის მაზრას აქ მოაქვს საფქვავი. წისქვილები სულ ქართული არ არიან, ზოგი ევროპიულათაც არიან გაკეთებულნი, მაგრამ თავს არ მოსულან.

აქვე ამათთან მახლობლივ მოშენება დაუწყია ანდრონიკოვს ვენახისა და აბრეშუმის ჭიის ფურცლის ბაღისა. ეს უკანასკნელი მოშენებულია დიდს ალაგზე და შიგაც არის აშენებული სახლები აბრეშუმის მოსაყვანათ. მაგრამ, როგორც შევიტყე, მოსავალი აბრეშუმისა ჰქონიათ მხოლოდ პირველ წელიწადს ოთხ ფუთამდე და იმისიც ნახევარი წაუღიათ თათრებს, რადგან სანახევროთ ჰქონიათ მიცემული მოსაყვანად. წლეულს კი სრულებით არა ჰქონიათ იმ მიზეზისა გამო, რომ ერთხელვე შეშინებულან უმოსავლობით და იმედი დაუკარგავთ იმის მოსავალზე. მაგრამ იმედი კი არის, რომ ვენახი ძალიან კარგი იქნება. წლეულს აქ ჰქონიათ მოყვანილი აგრეთვე ბოსტნეულობაცა. ეს ადგილი ისეთი მოხერხებულია და ყოვლისფრით უნაკლულო, რომ შეიძლება ყოვლისფრის, რასაც კი კაცი ისურვებს, მოყვანა, უკეთუ იმას თავის მხრით მოხერხება ექნება, რადგან წყალი ზედა აქვს. აქ შეიძლება მოიყვანოს კაცმა ზერნა-ლექეთის ბრინჯზე უკეთესი ბრინჯი; ერთის წლისათვის ამის მოსაყვანათ საჭიროა მხოლოდ მოყვანა ინგილოდამ ორი გლეხი-კაცისა, რომელნიც ასწავლიან აქაურს გლეხებს ბრინჯის თესვას და მოყვანას.

ამ წისქვილებთან მე სრულებით არ მომიცდია. ამას გამომცდარმა მე საღამოს თავი ამოვყავი მაზიანის ფოშტაში. აქ შევხვდა ერთი ჯერ კიდევ ჯანით ცოცხალი მოხუცებული კაცი, რომელიც შთამომავლობით ბერძენია; მაგრამ თავის თავს ქართველად რაცხს. იმისი მამა გადმოსახლებულა მეფე თეიმურაზის მეორის დროს. ამ კაცსა და მე დიდხანს საუბარი გვქონდა ლეკებზე. ამ ლაპარაკში იმან მიამბო, რომ 1793 წლამდე დაღესტანში ბატონობდნენ ქართველებიო, მე ისინი კარგათ მახსოვსო. აი მათი სახელები, — რომელნიც იმან მითხრა: რეგება, ზოგოლაძე, თევდორე, ღრონჯა, ღოღაძე. შემდეგ იქ იწყებენ ფლობელობას ლეკები. აი მათი სახელები: ოძარხანი, აჯიალამაჰჰადხანი, უაზი-მოლა და შამილი. მე ესე ამომიკითხავს ბეჭდულ ხელთნაწერ რვეულშიაც და ძამიჩემის ნათქვამიდამაც მახსოვს, დავტანა იმან ბოლოს; და მეც იმის აზრის დასამტკიცებლათ, მოვუყვანე თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიიდგან ის ადგილი, სადაც ის სწერს, რომ ამ მახლობელ დროშიაც ავარიაში ანუ დაღესტანში, მფლობელებათ იყვნენ ქართველნი თავადნიო, და ეს თეიმურაზის აზრი დიდ სინამდვილეს აძლევს ამ კაცის აზრს; და მით უფრო საინტერესოა ჩვენი საშობლოს ისტორიის გამომკვლევლებისათვის, რომ სახელდობრივ ისინი ჩამოთვლებიან. ისტორიკოსები კი ამ მფლობელებს არ ასახელებენ. აი თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვები: „მთასაცა შინა კავკასიისასა აქვს კახეთისა სამეფოსა საერისთონი და სამთავრონი ვითარცა ჰავარი, დურძუკეთი, ილილვე, დიდოეთი და სხვ. ხოლო არიან რომელთამე ადგილთა შინა ლეკეთისათა საბატონონიცა ადგილნი, რომელთაცა უსხამთ თვის თვისნი ბატონნი, რომელთაგანი გარდა შამხალისა არღავინ არის უამსა ამას.“ [თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიაში, გვერდი 24, სტრიქონი 27-დე. კიდევ გვერდი 40 და სტრიქონი 3].

აი ამ ლეკთა საბატონო ადგილებზე 1793 წლამდე, როგორც მიამბო ამ ბერი კაცმა, სხდომილან ქართველები, რომლების სახელებიც ზემოთ მოვიხსენიე.

ინგილო შანაშვილი.

1871 წელსა
5 სექტემბერი.